MES 9 23 0001647272

05/12/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვუფროსი სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლა
მანანა ლაცაბიძე - დირექტორი
სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლა
ელგა თეთვაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლა
ბეგლარი არჯევანიძე - დირექტორი
სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლა
ეთერ ქევხიშვილი - დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლა
თეა კალანდაძე - დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლა
ირმა ფუხაშვილი - დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლა
მაია ოსიყმიშვილი - დირექტორი
სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლა
თემურ დანელია - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლა
ირმა ქობალია - დირექტორი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტ ები):

სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლა

ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
სოფიო დუმბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნანა გიორგობიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მირანდა თურმანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ანანო შანავა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლა

თინათინ ალავიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ნონა ჩუბინიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო კილაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლა

ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
რუსუდანი არზიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ანჟელა აბულაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლა

მაკა ნადარეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ანა კვიჟინაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ირმა ქურდაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამილა თამაზაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ბურჯანაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლა

თამარ ამზაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ნინო ფაილოძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
მაია ქევხიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლა

ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
თორნიკე შევარდნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა ცერცვაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლა

თამარ მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ირმა ხმელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
მაია მაძღარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა ჩატარდა 2023 წლის 20 ნოემბერს ონლაინ

რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე -7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლის ავორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლის ატორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლის ავორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, ვინაიდან ხელმძღვანელობდა იმ საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომლის ტერიტორიულ ორგანოსაც განეკუთვნებოდა სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 20 და 21 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩა N10ა-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 330 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 330 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა ჩართული იყო USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში. გარდა ამისა, მოსწავლეების მიერ შექმნილი კლუბების ფარგლებში აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა აქტივობა . ასევე, სკოლა თანამშრომლობდა ბერლინის გასტრონომიულ კოლეჯთან, რომელიც ყოველწლიურად სკოლის სამ კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევდა შეესწავლათ პროფესია ბერლინში.
ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 1.2(სკოლის დაგეგმვა და განვითარება); 3.4(ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს მიერ შემუშავებული ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის შესახებ დასკვნა, რომელშიც განმარტებული იყო, რომ სკოლის შენობის 01 კორპუსის I ნაკვეთურისა და 02 შენობის მდგომარეობა კონსტრუქციული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი იყო. ხოლო 01 კორპუსის II ნაკვეთურს ესაჭიროებოდა გაძლიერებისა და სეისმური მდგრადობის ასამაღლებელი სამუშაოები.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ იმ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ სკოლის გარშემო ღობის არქონასთან დაკავშირებით რატომ გაიცა რჩევა და არა რეკომენდაცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და პერიმეტრის მეთვალყურეობას, აქედან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა და არა რეკომენდაცია.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

16:25-ზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ქეთევან ნატროშვილი, რომელმაც მიმართა საბჭოს შუამდგომლობით, რომ აცილება ჰქონდა აღნიშნულ სკოლასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 330 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა :
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ხაშურის N7 საჯარო სკოლას (ს/კ: 243891491) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 330 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ხაშური, თამარ მეფის ქუჩა N10ა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ხაშური, თამარ მეფის ქუჩა N10ა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ხაშური, თამარ მეფის ქუჩა N10ა

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის წარმოდგენა, ასევე, ინკლუზიურ გარემოსთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა და ეზოს გათავისუფლება ლითონის კონსტრუქციებისგან. გარდა ამისა სკოლის ტერიტორიის შემოსაზღვრისა და

სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სივრცის მოწყობისა და ბიბლიოთეკის გამრავალფეროვნების ამსახველი მტკიცებულებები.

2. სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი პტენის საჯარო სკოლის ავტორიზაციის

ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა ნ ხ ი ლ ვ ა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ ალავიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 9 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფელი პტენაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 60 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, თინათინ ალავიძემ განმარტა, რომ 1-ლი, მე-3 და მე-4 სტანდარტი შეფასდა, როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან კომპნენტი 2.2 (კურიკულუმის განხორციელება) შეფასდა მეტწილად. მეტწილად შეფასდა ასევე კომპონენტი 3,4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება).
ექსპერტმა აღნიშნა, რომ იმ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებისმიერ შექმნილ კლუბებსა და დაგეგმილ ღონისძიებებში აქტიურად იყვნენ ჩართული მოსწავლეები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ მოდიოდა წინააღმდეგობაში სკოლის სტრატეგიული გეგმა ექსპერტების დასკვნასთან და ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შენობის მიღება-ჩაბარების აქტი.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ელგა თეთვაძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიულ გეგმაში დაფიქსირებული იყო ტექნიკური ხარვეზები, ხოლო რაც შეეხებოდა შენობის მიღება-ჩაბარების აქტს, სკოლას ჰქონდა აღნიშნული დოკუმენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი პტენის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა :
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლას (ს/კ: 223364204) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ახალქალაქი, სოფელი პტენა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ახალქალაქი, სოფელი პტენა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

3. სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ კორბოულში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განმარტა, რომ 1-ლი, მე-4 და მე-2 სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა 1.2 კომპონენტი (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) და 4.2(მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) შეფასდა მეტწილად, მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.1; 3.2; 3.3; 3.4; 3.5; და 3.6 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ იმ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლას რჩევა მისცა, რომ მეტად გამოეკვეთათ ინდივიდუალური ღირებულებები.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ბეგლარ არჯევანიძემ, განმარტა, რომ ექსპერტების მხრიდან გაცემულ რჩევებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას მისცა რეკომენდაცია, რომ გარკვეული დოკუმენტაცია შესაბამისობაში მოეყვანათ მოქმედ კანონმდებლობასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა :
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 239404079) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი კორბოული
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი კორბოული
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი კორბოული

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

4. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლისავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 09 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ კალაურში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად,დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 450 მოსწავლე. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 222 მოსწავლე.

ექსპერტის თქმით, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მესამე სტანდარტი (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ვინაიდან კომპონენტები 3.4 და 3.6 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მაკა ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებიაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და ყურადღება გაამახვილა ინკლუზიურ გარემოსა და მოსწავლეთა მხარდაჭერის საკითხზე. მისი განცხადებით, სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმატებით განახორციელა რემედიაციის პროგრამა მათემატიკის მიმართულებით. ასევე აწყობდა ვიზიტებს პროფესიულ სასწავლებლებში და აქტიურად ზრუნავდა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, როდის და ვის მიერ ჩატარდა სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ეთერ ქევხიშვილმააღნიშნა, რომ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდასამშენებლო სარემონტო კომპანია MGF- ის მიერ სკოლის დირექტორის მ/შ - მ დასძინა, რომ აღნიშნული სამუშაოები დასრულდა 2021 წლის ბოლოს, ხოლო მიღება - ჩაბარების აქტი 2022 წლის 14 თებერვლით თარიღდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლას (ს/კ : 227752759) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის

	პროგრამის სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კალაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კალაური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კალაური

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, სკოლის მდგრადობის სტრუქტურული მდგომარეობის შეფასების ანგარიშის, და ვებ- გვერდზე ინფორმაციის სრულად ასახვის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

5. სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ ამზაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. N58 -ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 650 მოსწავლე. სკოლამ დამატებით მიმართა ცენტრს წერილით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განხილულიყო 1000 მოსწავლეზე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) და მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტი (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით, კომპონენტები 3.1, 3.4 და 4.1 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
თამარ ამზაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებიაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავდა მოტივირებული პედაგოგები, რომლებიც ამჟღავნებდნენ მზაობის მაღალ მაჩვენებელს სიახლეებისა და ცვლილებებისადმი, ხოლომოქნილი სადამრიგებლო პროგრამის ელექტრონული ვერსია იძლეოდა შესაძლებლობას, სკოლის ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს მიეღო საჭირო ინფორმაცია სასურველი კლასის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთი-ერთი წევრი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლას (ს/კ : 202055587) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის ქN58
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის ქN58
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის ქN58

6. სსიპ - ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლისავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ზღვის უბანი, მე-11 მ/რ. I კვ-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად დაწესებულებას მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 960 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ხოლო მესამე სტანდარტი (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით, კომპონენტები 3.4 და 3.6 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები, აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ხაზი გაუსვა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის საკითხს და აღნიშნა, რომ სკოლაში ჩამოყალიბებული იყო ისეთი კლუბები, როგორებიც იყო „მკითხველთა კლუბი“, „ეკო- კლუბი“, „სამოქალაქო განათლების კლუბი“. სკოლაში ასევე დიდი წარმატებით ფუნქციონირებდა სამეცნიერო წრე. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის პროექტი და და აქტივობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი, დაინტერესდა, ბოლო პერიოდში, კონკრეტული წლის დასახლებით, რომელი ორგანიზაციის მიერ ჩატარდა სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები. ლელა ფიცხელაურის განცხადებით, სკოლაში 2002 წელს განხორციელდა გამაგრებითი სამუშაოები. სკოლის დირექტორმა, ირმა ფუხაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები არ იყო ჩატარებული. თუმცა დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისი მიწერილობა სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ , ბიუროსთან, საიდანაც ექსპერტები იმყოფებოდნენ ვიზიტზე. ირმა ფუხაშვილმა განმარტა, რომ სკოლა ამ დროისთვის ელოდებოდა დასკვნას. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რამდენად ფლობდა ინფორმაციას, 2002 წელს ჩატარებული გამაგრებითი სამუშაოების დროს, მოხდა თუ არა შენობის სეისმურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ირმა ფუხაშვილის განცხადებით 2002 წელს ჩატარებული გამაგრებითი სამუშაოების შემდეგ სკოლის შენობა სეისმურ სტანდარტებთან თანხვედრაში იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 960 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთი-ერთი წევრი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლას (ს/კ : 200007795) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 960- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ზღვის უბანი, 11 მ/რ, 1 კვ.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ზღვის უბანი, 11 მ/რ, 1 კვ.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ზღვის უბანი, 11 მ/რ, 1 კვ.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა.

7. სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ჯავახეთის II შესახვევი N10-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1700 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1700 მოსწავლისთვის.

თამარ მიდელაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა მეტწილ შესაბამისად. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლი ინფრასტრუქტურაზე და აღნიშნა, რომ იგი შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით კი სკოლა თანამშრომლობდა სოხუმის უნივერსიტეტთან, შპს ევროპის უნივერსიტეტთან, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტსა და საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის ცენტრთან. სკოლაში ასევე შემუშავებული იყო ახალი მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პოლიტიკა, მოსწავლეთა საკონსულტაციო სისტემა, ასევე აქტიურად მიმდინარეობდა საკლუბო საქმიანობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სთხოვა ექსპერტებს მეტი დეტალი წარმოედგინათ სკოლის ინკლუზიურ გარემოსთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი პირობები ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის, ვინაიდან სკოლაში არ არსებობდა პანდუსები და იზოლირებული ადაპტირებული სველი წერტილები.

შალვა მეკრავიშვილმა სკოლის წარმომადგენელს სთხოვა, დაეზუსტებინა აპირებდა თუ არა სკოლა ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას.

სკოლის დირექტორმა, მაია ოსიყმიშვილმა აღნიშნა, რომ მათ უკვე მიმართეს სსიპ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სთხოვა სკოლის დირექტორს, წარმოედგინა ინფორმაცია შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.
მაია ოსიყმიშვილმა საბჭოს წევრებს გაუზიარა დასკვნა,რომელშიც ფიქსირდებოდა, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც ასახული იყო სამომავლოდ სკოლის მიერ ლაბორატორიის შექმნის საკითხი. საბჭოს წევრმა სკოლის დირექტორს სთხოვა დაეზუსტებინა, მუშაობდა თუ არა სკოლა ამ მიმართულებით.
მაია ოსიყმიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში გამოყოფილი იყო დამატებითი კლასი, სადაც უნდა განთავსებულიყო ახალი ლეპტოპები, რომელსაც სკოლა მიიღებდა უახლოეს მომავალში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლას (ს/კ: 208145265) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1700-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი ჯავახეთის II შესახვევი N10
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი ჯავახეთის II შესახვევი N10
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო	ქართული	

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქალაქი თბილისი ჯავახეთის II შესახვევი N10

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4, და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

8. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის სა კითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან რეხვიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა მარტვილში, სოფელ ნაგებერაოში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.
ქეთევან რეხვიაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ სურათი შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, ხოლო აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლა დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა დამოუკიდებელ და კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეების აღზრდას, ასევე, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას მოსწავლეთა ცხოვრებაში. ამ მიმართულებით სკოლა აქტიურად მუშაობდა პროექტების განხორციელების კუთხით. სკოლაში აგრეთვე აქცენტები კეთდებოდა არაფორმალურ განათლებაზე, რომლის ფარგლებშიც . მიმდინარე ეტაპზე ფუნქციონირებდა ორი კლუბი: კინომოყვარულთა და წიგნიერთა. სკოლას ჰქონდა თანამედროვე სპორტული დარბაზი შესაბამისი სპორტული აღჭურვილობით. ამ მხრივ ტარდებოდა მრავალი სპორტული ღონისძიება, მათ შორის მხიარული სტარტები და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს რაგბის კავშირის, რაგბის ასოციაციის ერთობლივი პროექტი ,,ჩაერთე რაგბიში“. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სპორტულ ღონისძიებებში. სკოლაში ჩატარდა ,,სასკოლო რაგბის ფესტივალი 2023“. ფესტივალმა შეაჯამა პროექტის ,,ჩაერთე რაგბიში“ ერთი წლის მუშაობა. მასში ნაგებერაოს სკოლის მოსწავლეების გარდა მონაწილეობდნენ სხვა სკოლის მოსწავლეებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, სკოლის დირექტორს მისცა რეკომენდაცია, რომ სკოლის შინაგანაწესი საჭიროებდა გადახედვასა და კორექტირებას, ვინაიდან მოცემული დოკუმენტი შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, კერძოდ ვაკანსიის გამოცხადებისა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებამდე წარსადგენი დოკუმენტაციის მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა ასევე რეკომენდაცია თანამშრომელთა შერჩევის წესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რადგან იგი არ იყო კანონმდებლობასთან შესაბამისი.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, ბოლო პერიოდში როდის ჩატარდა სკოლის რეაბილიტაცია და არსებობდა თუ არა აღნიშნულის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების დოკუმენტი.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, თემურ დანელიამ, განაცხადა, რომ სკოლა იყო ახალი აშენებული და ექსპლუატაციაში შევიდა 2019 წელს, ასევე სკოლა ფლობდა მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციას.
ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს სთხოვა, დაეზუსტებინა, იყო თუ არა სკოლის სამოქმედო გეგმაში ასახული შენობის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო ხარჯები.
თემურ დანელიამ დაადასტურა, რომ მათ განსაზღვრული ჰქონდათ ხარჯები აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევაში კურიკულუმები მოიცავდა გარკვეულ ხარვეზებს. კერძოდ, მაშინ, როდესაც გეოგრაფიის კურიკულუმი მეტ-ნაკლებად სრულყოფილად იყო წარმოდგენილი, ისტორიის შემთხვევაში იგი იყო ფრაგმენტული და მექანიკური. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, ხდებოდა თუ არა კათედრებს შორის ინფორმაციის გაცვლა.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, აღნიშნა რომ კათედრები უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს, ასევე მოხდა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციებისა და დასკვნის განხილვა და ხარვეზების გამოსწორება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლას (ს/კ: 235444257) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარტვილი სოფელი ნაგებერაო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარტვილი სოფელი ნაგებერაო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მარტვილი სოფელი ნაგებერაო

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭომ 3.4, და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

9. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ იგი ვერ მიიღებდა საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 13 და 14 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ზუგდიდში, პუშკინის ქ. N157-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 270 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 270 მოსწავლისთვის.

ზვიად ბერიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, . მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში სათანადო ყურადღება ექცეოდა არაფორმალურ განათლებას, რომელიც მიმდინარეობდა არასაგაკვეთილო დროს. სკოლაში შექმნილი კლუბები (სამოქალაქო განათლების კლუბი ,,ერთობა“ , ლიტერატურული სალონი ,,დიდი ჯიბე“ , სპორტული კლუბი ,,მეგობრობა“ , ეკო კლუბი ,,ბუნების მკურნალი“, ხელოვნების წრე ფერადი სამყარო) მოსწავლეს აძლევდა შესაძლებლობას გაცნობოდა მისთვის საინტერესო თემებს, ეკვლია მისთვის საინტერესო საკითხი და მეგობრებთან ერთად, ინტერესებიდან გამომდინარე, დაეგეგმა, განეხორციელებინა ბევრი საინტერესო აქტივობა. არაფორმალური სწავლებისას მოსწავლეები იყვნენ სწავლა/სწავლების აქტიური მონაწილეები, რაც ხელს უწყობდა მოსწავლეებში წიგნიერების, ციფრული უნარების, ცხოვრებისეული და სოციალურ-კულტურული უნარების განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა საგნობრივ ექსპერტებს სთხოვა გაეზიარებინათ მეტი დეტალი იმასთან დაკავშირებით, თუ რამ განაპირობა სტანდარტის შეფასება სრული შესაბამისობით, მაშინ როდესაც კურიკულუმები მოიცავდა გარკვეულ ხარვეზებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ეკა კობიაშვილმა აღნიშნა, რომ პირველადი დოკუმენტაციის შემდეგ სკოლამ უზრუნველყო კურიკულუმების რედაქტირებული ვერსიების გადმოგზავნა, ასევე ექსპერტმა განაცხადა, რომ ადგილზე გაიცა გარკვეული რჩევები, კერძოდ კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებით.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ხათუნა თოიძემ აღნიშნა, რომ სკოლა გამოირჩეოდა კათედრებს შორის განსაკუთრებული თანამშრომლობით და მზაობით განვითარებისა და წინსვლისთვის.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლას სჭირდებოდა ჩაღრმავებოდა პირველ სტანდარტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაცნობოდა და სკოლის საჭიროებებზე მოერგო ისინი. საბჭოს წევრმა ასევე კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა, დაეზუსტებინა რა ეტაპზე იყო მესამე სტანდარტის კუთხით დოკუმენტაციის მოპოვების პროცესი.
სკოლის დირექტორმა, ირმა ქობალიამ აღნიშნა, რომ სკოლამ მიმართა შესაბამის უწყებას ყველა დოკუმენტთან დაკავშირებით და ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 270-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შესაბამისად მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მან არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №8 საჯარო სკოლას (ს/კ: 219986629) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 270- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის

	პროგრამის სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.ზუგდიდი, პუშკინის ქ.N157
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.ზუგდიდი, პუშკინის ქ.N157
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ.ზუგდიდი, პუშკინის ქ.N157

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი და მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4, და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა 20:55 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა